

ოქმი #10
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს რიგგარეშე სხდომის

2019 წელი, 12 აპრილი
ქ. ოზურგეთი
12.00 – 13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: გ.ღურჯუმელიძე, ე.გორდელაძე, ლ.ბიგვავა, გ.კილაძე, გ.ჩაგანავა, ბ.დოლიძე, ლ.მგელაძე, ბ.ქათამაძე, შ.გოგიბერიძე, გ.თოიძე, დ.ჭავჭავაძე.
მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე-ი.სირაძე.
მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები.
მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე დ.დარჩია მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრეთ, მიაწოდა ქვორუმზე ინფორმაცია, 15 წევრიდან სხდომას ესწრება 12, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. გააცნო დღის წესრიგი, რომლიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 0.5%-ის მიერ ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიციის ქალაქ ოზურგეთში აღ. ყაზბეგის ქუჩაზე, სასმელი წყლის უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით, მდინარე ბჟუჟზე ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: დავით ფასიეშვილი

საკითხზე მოხსენება გააკეთა საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ლ.ბიგვაძამ, კერძოდ-საკითხი შესწავლილი იქნა ჯერ კიდევ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, გაკეთდა მდინარის კალაპოტის ერთ მხარეს დამცავი გაბიონი, მაგრამ მდინარემ გადმოინაცვლა მეორე მხარეს და ახლა საშიშროება შეექმნა როგორც კერძო მესაკუთრეთა მიწის ნაკვეთებს, ასევე წყალსადენის სათავე-ნაგებობას-კონკრეტულად წყალშემკრებ აუზს. გამომდინარე აქედან. მოსახლეობა სამართლიანად აყენებს საკითხს მდინარის კალაპოტის მეორე მხარეზეც გაკეთდეს 100 მეტრამდე სიგრძის დამცავი გაბიონი. ბიუროს წევრებმა მხარი დაუჭირეს პეტიციის მოთხოვნას და მიიღეს გადაწყვეტილება პეტიცია შესაბამისი კომისიის დასკვნასთან ერთად კანონშესაბამისი რეაგირების მიზნით გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიას (კ.შარაშენიძე).

საკითხის განხილვის დასრულების შემდეგ ბიუროს წევრებმა მოისმინეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა).ი.პ „სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“-ს დირექტორის მ.ჭყონიას ინფორმაცია მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში, ტენდერში გამარჯვებული შ.პ.ს „სოფო“-ს მიერ, მარტის თვის ბოლოს, უხარისხო საქონლის ხორცის შეტანის მცდელობისა და მისი პრევენციისათვის ღონისძიებების გატარების თაობაზე.

გადაწყვეტის:

პეტიცია საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის (ლ.ბიგვაძა) დასკვნასთან ერთად რეაგირებისათვის გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიას (კ.შარაშენიძე).

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

